

**ძამის მადნიანი ველის თავისებურებანი
და მისი ეკონომიკური პოტენციალი**

გიორგი ლომიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტზე გეოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - გეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ავთანდილ ოქროსცვარიძე, გეოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016**

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ლომიძე

24.05.2016

აბსტრაქტი

ნაშრომი „ძამის მადნიანი ველის თავისებურებანი და მისი ეკონომიკური პოტენციალი“, მოიცავს ძამის მადნიან ველში შემავალი ორი ტიპის რკინა-სკარნული (ძამა) და ოქროსშემცველი სპილენძ-პორფირული (ღართა) საბადოების აღწერას, ახალი გეოლოგიური მოდელების შემუშავების და მისი ეკონომიკური პერსპექტივების მიზნით წარმოჩენას.

ნაშრომში წარმოდგენილია: რაიონის შესწავლის ისტორია, გაკეთებული სამუშაოების მეთოდოლოგია, მსგავსი ტიპი საბადოების შედარება და ანალიზი, საბადოების აღწერა, მუშკეტოვიტიზაციის საკითხი ძამის რკინამადნიან საბადოზე, გეოლოგიური მოდელების და მათზე გამაძნებელი მინერალების პოზიციურ განლაგება, ახალი მადნეულ-მაგმატური, გეოლოგიურ- გენტური მოდელის წარმოჩენა, პროგნოზული ძეხნითი მოდელის შემუშავება, მისი მარაგების ეკონომიკური შეფასების ანგარიში. აგრეთვე, რეგიონის მოკლე გეოგრაფიულ, გეოლოგიურ, გეოტექტონიკური მდებარეობა და აგებულება.

Abstract

The paper “Peculiarities of Dzama Ore Field and its Economic Potential” overviews the description of Iron - skarn (Dzama) and gold containing copper-porphyry (Gharta) layers. The aim of my thesis is to illustrate new geologic models and economic perspectives of that particular region.

The paper discusses the following topics: The history of district study; Methodology; Comparative analysis of similar ores; Field description; Issue of mushketovite on the Dzama iron-ore minefield. Positional placement of geologic models and their ore minerals; Representation of new ore-magmatic, geologic- genetic models; Creation of predictive-explorative model and economic evaluation of its reserves. Therefore, I will briefly discuss about region’s economic, geologic, geotectonic location and its structure.